



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

6 მაისი 2011 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ნატალია ნაზრაიძე
მოსამართლეები: ნათია გუჯაბიძე
ქეთევან მესხიშვილი

აპელანტი – კახა კვარაცხელია

მოწინააღმდეგე მხარეები – გიორგი ბერიშვილი, ნონა გაბილაია, გიორგი გაბილაია, თამარ გაბილაია, ლიანა მანდარია

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება

დავის საგანი – საცხოვრებელი სადგომით წარმოშობილი ურთიერთობა, ხელშეკრულების ბათილად ცნობა

სააპელაციო პალატამ ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სამოქალაქო საქმეზე №2ბ/2036-10 პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2ბ/2036-10. აპელანტი: კახა კვარაცხელია; მოწინააღმდეგე მხარეები: გიორგი ბერიშვილი, ნონა გაბილაია, გიორგი გაბილაია, თამარ გაბილაია, ლიანა მანდარია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

დაზუსტებულ სარჩელში და სააპელაციო საჩივარში მოწინააღმდეგე მხარის – თამარ გაბილაიას საცხოვრებელი მისამართია – ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №4.

აღნიშნულ მისამართზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ არაერთხელ გაგზავნილი სასამართლო უწყება არ ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეს - თამარ გაბილაიას. მისთვის არაერთხელ გაგზავნილ სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილებზე ჩაუბარებლობის მიზეზად აღნიშნულია, რომ მეზობლების განმარტებით ადრესატი მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

ამდენად, მოწინააღმდეგე მხარის – თამარ გაბილაიას ადგილსამყოფელი დაუდგენელია და კახა კვარაცხელიას სააპელაციო საჩივრის განსახილველად მთავარი სხდომის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დებულებები, მიიჩნია, რომ ვინაიდან, მოწინააღმდეგე მხარის მისამართი უცნობია და მისთვის მთავარი სხდომის დღის შესახებ უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, მოწინააღმდეგე მხარეს თამარ გაბილაიას სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის თარიღის (2011 წლის 18 მაისი 16⁰⁰ საათზე) შესახებ ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით. ამასთან, სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე, 285-ე და 390-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვევა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების ფორმით; სასამართლო შეტყობინება საჯაროდ განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.ge).
2. სასამართლოს მთავარი სხდომა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დაინიშნოს 2011 წლის 18 მაისს 16:00 საათზე, რომელიც გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7^o);
3. 2011 წლის 18 მაისს 16:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეულ იქნეს განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებული თამარ გაბილაია.
4. განჩინება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებიდან მე-7 დღეს.
5. სხდომაზე დასაბარებელი პირი გაფრთხილებულ იქნეს, რომ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის შესაბამისად მის წინააღმდეგ გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.
6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

თავმჯდომარე:

ნატალია ნაზლაიძე

მოსამართლეები:

ნათა გუჯაბიძე

ქეთევან მესხიშვილი